საზოგადოებრივი მაუწყებლის
2025 წლის
II კვარტლის

ანგარიში

მნიშვნელოვანი სიახლეები

- **საქართველოს რადიო 100 წლისაა**

  ბმული

- **რადიოარხ „საქართველოს რადიოს“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა**

  ბმული

- **საქართველო 2025 წლის საბავშვო ევროვიზიის კონკურსს 13 დეკემბერს უმასპინძლებს**

  ბმული

- **პირველი არხის მედიის დირექტორი რუსუდან მანჯგალაძე ევროპის მაუწყებელთა კავშირის რადიოკომიტეტის წევრად აირჩიეს**

  ბმული

- **საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარედ ვასილ მაღლაფერიძე აირჩიეს**

  ბმული

- **თინათინ ბერძენიშვილი ყოველწლიური კონფერენციის - მრავალფეროვნება, თანასწორობა და ინკლუზია (DEI) 2025-ის სპიკერია**

  ბმული

- **ელენე გაბაშვილი ევროპის მაუწყებელთა კავშირის საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტთა ჯგუფის წევრად აირჩიეს**

  ბმული

- **მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატი - ექსკლუზიურად პირველ არხზე**

  ბმული

- **საქართველოს პირველი არხის ახალ შენობაში გადასვლის პროექტის ფარგლებში, საარქივო დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების პროცესი დასრულდა**

  ბმული

- **თინათინ ბერძენიშვილმა და რუსუდან მანჯგალაძემ, „ბიბისის“ მასპინძლობით, ლონდონში გამართულ ევროპის მაუწყებელთა კავშირის გენერალურ ასამბლეაში მიიღეს მონაწილეობა**

  ბმული

შინაარსობრივი მიმართულებები - პირველი არხი



მაუწყებლობის 20.2% დაეთმო მხატვრულ ფილმებს

ონლაინმედია

პირველი არხის მედიაპროდუქტი მაქსიმალურად რომ იყოს გავრცელებული სოციალური ქსელების მეშვეობით და სამიზნე აუდიტორიამდე მიღწეული, კონტენტი დივერსიფიცირდა სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმაზე (ფეისბუქი, ინსტაგრამი, ტიკტოკი, იუთუბი). გარდა ამისა, თითოეულ გადაცემას აქვს თავისი ფეისბუქ გვერდი შესაბამისი სამიზნე აუდიტორიით, სადაც ქვეყნდება ამ გადაცემებიდან ვიდეო/ფოტო. კვლავ გრძელდება მათგან საუკეთესო კონტენტის განთავსდება პირველი არხის მთავარ გვერდზე, სადაც ამ პერიოდის განმავლობაში ვიდეოების საერთო ნახვაა - 39,2 მილიონი; ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 3,3 მილიონი; გვერდს დაემატა 25,716 გამომწერი.

პირველი არხი სპორტი
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 11,6 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 1,300,00.

გვერდს დაემატა 12,530 გამომწერი.

პირველი არხი NEWS
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 6,3 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 128,700.

გვერდს დაემატა 7,758 გამომწერი.

1tv.ge სტატისტიკა

	II კვარტალი 2025	I კვარტალი 2025
ნახვა	11,000,000	10,000,000
საშუალოდ დღეში ნახვა	121,000	111,000
მაქსიმალური მაჩვენებელი	79,000	105,000
	31 მაისი 2025	23 მარტი 2025

იუთუბარხების სტატისტიკა

	II კვარტალი 2025	I კვარტალი 2025
ნახვა	25,500,000	36,800,000
საშუალოდ დღეში ნახვა	280,000	409,000
მაქსიმალური მაჩვენებელი	412,000	892,000
	8 ივნისი 2025	23 მარტი 2025

TikTok
პირველი არხის ტიკ-ტოკ გვერდს 2025 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით ჰყავს 107 800 გამომწერი.

Instagram
პირველი არხის ინსტაგრამ გვერდს 2025 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით ჰყავს 65 800 გამომწერი.

იურიდიული სამსახურის ანგარიში

წარმოგიდგენთ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" იურიდიული სამსახურის 2025 წლის 1-ელი კვარტლის ანგარიშს.

1. ხელშეკრულებების შესახებ

2025 წლის მე-2 კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 163 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

2. სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

2.1

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2025 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში:

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1	**შპს "სტუდია ფონოგრაფი"**	სატენდერო კომისიის ოქმების და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის" მოსარჩელის სასარგებლოდ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება ტენდერთან დაკავშირებით	- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი სატენდერო კომისიის ოქმები და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. - თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში. - სააპელაციო სასამართლოს განჩინების ჩაბარების შემდეგ, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარდგენილი იქნება საკასაციო საჩივარი
2	**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია**	საჯარო ინფორმაციის (ტექნიკური გადაიარაღების სამოქმედო გეგმის) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
3	**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია**	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტის ბათილად ცნობა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სოციალური რეკლამის განთავსება	- მოცემულ საქმეზე სსიპ "საზოგადოებრივი" მაუწყებელი ჩართულია მესამე პირად. - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
4	**მარიამ სონიშვილი**	ვადის განსაზღვრის ნაწილში შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
5	**თამთა ჯანაძე**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

6	**სოფიო ზედელაშვილი**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით	- საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.
7	**არაზ მაშოვი**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	- საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.
8	**ნიკოლოზ ცერცვაძე**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, კომპენსაციის გადახდა, განაცდურის ანაზღაურება	- საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.
9	**ირაკლი დობორჯგინიძე**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. - თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ უცვლელი დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. - უზენაესმა სასამართლომ არ მიიღო განსახილველად მოსარჩელის საკასაციო საჩივარი. დავა დასრულებულია.
10	**ნინო ზაუტაშვილი**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	- საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.
11	**ვასილ ივანოვ-ჩიქოვანი**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	- საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.

2.2

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით არსებული საქმეების ნუსხა 2025 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში:

№	მოპასუხე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1	**შპს "პრაიმ თაიმი"**	24 633 81 ლარის ოდენობით საიჯარო ქირის ძირითადი ფულადი დავალიანების, ასევე, დარიცხული პირგასამტეხლოს ანაზღაურება	- საქმეზე შპს "პრაიმ თაიმი"-ს წინააღმდეგ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული იქნა მეორე (განმეორებითი) დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც მოპასუხის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში მხოლოდ პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში, რაც თბილისის საპელაციო სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა. - ამ ეტაპზე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სასამართლოსგან მოითხოვა ძირითადი თანხის დაკისრების ნაწილში სააღსრულებო ფურცლის გაცემა.
2	**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭო**	ინდ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობა და ახალი აქტის გამოცემა	- სასამართლოს 20,11,2020წ. განჩინებით, რომელიც სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" ჩაბარდა 2021 წლის 28 აპრილს (5 თვის დაგვიანებით), სარჩელი ცნობილი იქნა დაუშვებლად, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს განჩინებით საზოგადოებრივი მაუწყებლის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა და საქმე განსახილველად დაუბრუნდა საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

2.3

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით დაწყებული სააღსრულებო წარმოება:

- <u>თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია საქმეები სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" შემდეგი მოვალეების მიმართ:</u> შპს "კიკალა სტუდიო ტვ"-ს, შპს "ნიუ-რაციოს", შპს "ეი-სი ჯგუფი"-ს, "სატელიტური დაცვის სისტემების უზრუნველყოფის ფონდი"-ს, შპს "ფენიქსის", შპს "კინოსტუდია სანგუკო"-ს, შპს "რაქი"-ს, შპს "ლაივ პრომო"-ს, შპს "ტელე-რადიოკომპანია ტვ-7"-ის, შპს "ნონეიმ სტუდიო"-ს, შპს "მილ პოინტი"-ს, შპს "ნ და გ კომპანის", შპს "S.T. იმპორტი"-ს, შპს "აიბი გრუპი"-ს, შპს "მედია ჯგუფი"-ს, შპს ტელეკომპანია "პიკ"-ის, შპს "საზოგადოებრივი კოლეჯი 21-ე საუკუნე"-ს, შპს "საერთაშორისო ბიზნეს განვითარების ცენტრი"-ს, შპს "ამპლიტუდა"-ს, შპს "გრინ ბილდინგი"-ს, შპს "კრეატივ ქორნერი"-ს, შპს "დუტა პროდაქშენ"-ის, შპს "ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი"-ს, ა(ა)იპ "საკალათბურთო კლუბი ვითა"-ს, შპს "პიართაიმი"-ს, შპს "ბიოფუდჯორჯია"-ს, ა(ა)იპ "ინტეგრაცია - გზა ნატოსკენ და ევროკავშირისკენ", შპს "ტიფლის ტვ"-ის, შპს "რადიო უცნობის", შპს"Georgian Water & Company" და შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის მიმართ (თუმცა, შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის მიმართ, სასამართლოს განჩინებით, სააღსრულებო წარმოება ერთჯერადად გადაიდო 3 თვის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, განახლდა სააღსრულებო წარმოება, თუმცა სააღსრულებო წარმოება 2022 წლის იანვარში კვლავ გადაიდო განსაზღვრული ვადით, რადგან სასამართლო იხილავს შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის განცხადებას საქმის წარმოების განახლების თაობაზე. ამ ეტაპამდე ჩვენთვის უცნობია სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ).

- თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია ასევე საქმე გადახდისუუნარობის (გაკოტრების) შესახებ შპს "სქაი ჯორჯია"-ს მიმართ. სასამართლოს მიერ გაკოტრების მმართველად დანიშნულია თბილისის სააღსრულებო ბიურო. სასამართლოში გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას (რომელიც გაიხსნა სასამართლოს 18,05,2010წ. განჩინებით), აღნიშნული კომპანიის მიმართ სასამართლოს მიერ აღიარებული იქნა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მოთხოვნა მხოლოდ 1 403 23 ლარის ოდენობით. რაც შეეხება სხვა დავალიანებას, რომელიც შპს "სქაი ჯორჯია"-ს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიმართ წარმოეშვა სარეკლამო მომსახურების საფუძველზე, სასამართლოს მიერ აღნიშნული დავალიანება აღიარებული არ იქნა. შესაბამისად, კანონის თანახმად, სასამართლოში წარდგენილი იქნა სარჩელი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ შპს "სქაი ჯორჯია"-სთვის 14 318 01 ლარის დაკისრების შესახებ, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 15,11,2011წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სრულად და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. მაგრამ იმის გამო, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროს უკვე დაწყებული იყო შპს "სქაი ჯორჯია"-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება და გაკოტრების მმართველად დაინიშნა თბილისის სააღსრულებო ბიურო, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს ხელახლა უნდა მოეწვია კრედიტორთა კრება და მიეღო გადაწყვეტილება 14 318 01 ლარის ოდენობით შპს "სქაი ჯორჯიას" მიმართ საზოგადოებრივი მაუწყებლის მოთხოვნის აღიარების თაობაზე. სასამართლოს მიერ ჩატარდა კრედიტორთა კრება. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" განცხადება დაკმაყოფილდა და მისი მოთხოვნა აღიარებული იქნა კრედიტორთა მე-6 რიგის მოთხოვნებში. 2024 წლის 29 აპრილს ჩატარდა მორიგი კრედიტორთა კრება საქალაქო სასამართლოში და შპს "სქაი ჯორჯიას" აქტივების მოძიების მიზნით რიგი ღონისძიებების ჩატარების გამო კრება გადაიდო.

<u>3. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ</u>

2025 წლის მე-2 კვარტალში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" განცხადება არ შემოსულა.

4. სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

2025 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

ბ) თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას. 2025 წლის 1-ლი კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოში საჩივარი არ შემოსულა.

5. სხვა საკითხების შესახებ

იურიდიული სამსახური თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით იძლევა სამართლებრივ კონსულტაციებს, ამზადებს სხვადასხვა სახის დოკუმენტებს (წერილებს, ბრძანებებს, მემორანდუმებს, შესაბამის აქტებს, სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებებს და ა.შ.).

ანგარიში

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2025 წლის II კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ბიუჯეტის შესრულების ზოგადი პარამეტრები

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულმა 2025 წლის II კვარტლის მთლიანმა ბიუჯეტმა შეადგინა 22,624,012 ლარი.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ, 2025 წლის II კვარტლის განმავლობაში, ჯამურად მიღებულმა საკასო შემოსავალმა შეადგინა 22,342,833 ლარი. აქედან, 21,061,433 ლარი შეადგინა სახელმწიფო ასიგნებამ, ხოლო 1,281,400 ლარი კომერციული საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა. 2025 წლის II კვარტლის განმავლობაში, მაუწყებლის მიერ გაწეულმა ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა 20,222,442 ლარი.

2025 წლის II კვარტლის დასაწყისში, მაუწყებლის ანგარიშზე აკუმულირებული ფულადი ნაშთი შეადგენდა 20,517,835 ლარს, ხოლო II კვარტლის დასასრულს დარჩენილმა საკასო ნაშთმა შეადგინა 22,310,979 ლარი.

მოცემულ პერიოდში სამეურვეო საბჭოს მიერ გაწეული ხარჯი: 327,247 ლარი.

2025 წლის II კვარტლის დაგეგმილი ბიუჯეტისა და გაწეული საკასო ხარჯის შედარება:

ძირითადი მიმართულებების მიხედვით ბიუჯეტის გეგმა და მისი შესრულება

	ბიუჯეტი	ხარჯი	სხვაობა
გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები	227,733	191,966	35,767
საერთო და ადმინისტრაციული	2,471,681	1,807,250	664,431
ახალი და მიმდინარე ამბები	3,300,323	3,364,588	(64,265)
მედია	5,274,516	3,604,591	1,669,925
ტექნიკური ხარჯი	3,010,715	3,056,703	(45,988)
ონლინ მედია	413,038	336,053	76,985
სხვა სამაუწყებლო ხარჯი	1,143,636	1,650,590	(506,954)
საინვესტიციო ხარჯი	1,267,637	5,804,643	(4,537,007)
ფინანსური ხარჯი	5,514,735	406,059	5,108,676
მთლიანი ბიუჯეტი	**22,624,012**	**20,222,442**	**2,401,570**

მოცემულ ცხრილში, კერძოდ, საინვესტიციო ხარჯის მუხლში ფიქსირდება გადახარჯვა, რაც გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ პირველი კვარტლის ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხის ათვისება ნაწილობრივ გადმოვიდა მეორე კვარტალში, შესრულებული სამუშაოების ჩაბარების პარალელურად (ექსპერტიზის დასკვნების ჩათვლით). შესაბამისად, მთლიანი ბიუჯეტის ჭრილში, საინვესტიციო ხარჯები გეგმის ფარგლებშია.

ბიუჯეტის შესრულება, 2025 II კვ.



შრომის ანაზღაურება

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2025 წლის II კვარტლის შრომის ანაზღაურებაზე ბიუჯეტირებული თანხა განისაზღვრა 8,753,755 ლარით, ფაქტობრივმა საკასო ხარჯმა შეადგინა 8,511,530 ლარი. ფაქტობრივმა სახელფასო ხარჯმა ბიუჯეტთან შედარებით 242 ათასი ლარით ნაკლები შეადგინა.

2025 წლის II კვარტლის შრომის ანაზღაურების გადანაწილება ბლოკების მიხედვით:

	ბიუჯეტი	ხარჯი	სხვაობა
გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები	227,733	191,966	35,767
ფინანსები, ადმინისტრაცია, მარკეტინგი	771,208	746,711	24,497
ახალი და მიმდინარე ამბები	2,821,125	2,850,116	(28,990)
მედია	2,520,963	2,331,771	189,192
ტექნიკა და ტექნოლოგიები	2,074,990	2,146,756	(71,766)
ონლაინ მედია	312,736	244,210	68,526
სხვა ფინანსური ხარჯი	25,000		25,000
ჯამი:	**8,753,755**	**8,511,530**	**242,225**

შრომის ანაზღაურება



მივლინება

2025 წლის II კვარტლის ბიუჯეტით განსაზღვრული სამივლინებო ხარჯი შეადგენდა 227,896 ლარს, ხოლო ფაქტობრივმა სამივლინებო ხარჯმა შეადგინა 432,212 ლარი, რაც დაგეგმილთან შედარებით 204,316 ლარით მეტია. სხვაობა გამოწვეულია გასულ კვარტალში ევროვიზიის საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებული მივლინების თანხების აკუმულირებით, თუმცა, წლის ჭრილში, მივლინებისთვის გეგმით გათვალისწინებული მაჩვენებლები არსებითად დაბალანსდება.

სამივლინებო ხარჯები სამსახურების მიხედვით:

	ბიუჯეტი	ხარჯი	სხვაობა
ფინანსები, ადმინისტრაცია, მარკეტინგი	27,141	53,019	- 25,878
ახალი და მიმდინარე ამბები	162,713	180,793	- 18,080
მედია	35,739	196,530	- 160,792
ტექნიკა და ტექნოლოგიები	2,303	1,870	433
ჯამი:	**227,896**	**432,212**	**- 204,316**

ხარჯები ნაწილდება შემდეგნაირად:

მივლინება



საინვესტიციო ხარჯები:

2025 წლის II კვარტლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეულ იქნა 5,804,643 ლარის კაპიტალური ხარჯი:

ახალი შენობის მშენებლობა	5,617,831
ტექნიკური აღჭურვა	186,812

ფინანსური ხარჯები:

2025 წლის II კვარტლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეულ იქნა 406,059 ლარის ფინანსური ხარჯი:

საგადასახადო ხარჯი	271,059
სხვა ფინანსური ხარჯი	134,794

ლიცენზიები

მაუწყებლის მიერ, 2025 წლის II კვარტალში, სპორტული ლიცენზიების შესყიდვაზე გადახდილ იქნა 495,623 ლარი.

სპორტული ლიცენზიები	**495,623**
FIBA 2022-2025	151,061
Winter 2026	235,116
ძიუდოს თბილისი გრანდ სლემი	10,000
ბიატლონი, სნოუბორდი, ფრისტალი და სათხ. მსოფ.	99,445

კომერციული შემოსავლები

2025 წლის II კვარტლის განმავლობაში, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საკუთარი სახსრებით მოზიდულმა თანხამ შეადგინა 1,281,400 ლარი. აღნიშნული თანხიდან სასპონსორო-სარეკლამო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი იყო 146,902 ლარი; სხვა არასაოპერაციო და ფინანსური შემოსავალი - 1,134,498 ლარი.

2025 წლის II კვარტლის კომერციული შემოსავლები

კომერციული საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები	**146,902**
რეკლამიდან მიღებული შემოსავალი	105,300
სპონსორობა	23,550
პროდაქტ ფლეისმენტი	15,000
საარქივო მომსახურება	3,052
სხვა არასაოპერაციო/ფინანსური შემოსავალი	**1,134,498**
ჯამი	**1,281,400**

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2025 წლის II კვარტლის განმავლობაში გაწეული ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი N1.

დანართი N1

	II კვარტალი			
დასახელება	**აპრილი**	**მაისი**	**ივნისი**	**ჯამი**
საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი	**4,143,388**	**4,397,264**	**5,471,087**	**14,011,740**
გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები	**63,679**	**62,553**	**65,733**	**191,966**
შრომის ანაზღაურება	63,679	62,553	65,733	191,966
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	**673,045**	**552,108**	**582,097**	**1,807,250**
შრომის ანაზღაურება	259,780	245,568	241,363	746,711
მივლინება	11,927	29,238	11,854	53,019
მარკეტინგი	850	88	3,709	4,647
კომუნალური ხარჯები	293,615	124,950	176,840	595,405
ავტოპარკი	48,261	45,326	51,454	145,041
საოფისე ხარჯი	55,910	99,404	89,594	244,908
წარმომადგენლობით ხარჯი	2,701	7,535	7,283	17,520
ახალი და მიმდინარე ამბები	**1,111,930**	**1,204,439**	**1,048,218**	**3,364,588**
შრომის ანაზღაურება	948,126	959,120	942,870	2,850,116
მივლინება	61,097	79,606	40,089	180,793
უცხოური საინფ. სააგ/სიგნალის გადმოგორება	36,168	99,942	-	136,110
ბიზნეს პარტნიორი	66,539	65,771	65,259	197,570
მედია	**1,056,582**	**1,336,249**	**1,211,761**	**3,604,591**
შრომის ანაზღაურება	728,794	800,454	802,524	2,331,771
კოპროდუქცია	47,439	201,169	63,423	312,031
შესყიდვები მედია	173,374	109,511	268,014	550,898
ტექნიკური ხარჯი	**941,843**	**977,995**	**1,136,865**	**3,056,703**
მივლინება	-	1,610	260	1,870
ქართული ფილმები	1,875	11,618	-	13,493

საინვესტიციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი	**3,292,911**	**1,269,209**	**1,242,523**	**5,804,643**
ახალი შენობის მშენებლობა	**3,278,331**	**1,128,852**	**1,210,648**	**5,617,831**
მშენებლობის ხარჯები	3,274,393	966,020	1,210,648	5,451,061
ინვენტარი/ავეჯი	3,938	162,832	-	166,770
ტექნიკური აღჭურვა	**14,580**	**140,357**	**31,875**	**186,812**
კომპიუტერული ტექნიკა	14,580	-	-	14,580
სტუდიური აპარატურა	-	140,357	31,875	172,232
ფინანსური ხარჯი	**105,129**	**200,888**	**100,042**	**406,059**
საგადასახადო გადასახდელები	**60,000**	**156,264**	**55,000**	**271,264**
დღგ (რეალიზაციის, უკუდაბეგვრის)	60,000	156,264	55,000	271,264
სხვა ფინანსური ხარჯი	**45,129**	**44,624**	**45,042**	**134,794**
საავტორო უფლებები	45,129	44,624	45,042	134,794
სამეურვეო საბჭო	**120,784**	**123,265**	**83,198**	**327,247**
სამეურვეო საბჭოს წევრების ჰონორარი	70,380	70,380	70,380	211,140
სხვა ხარჯი	**50,404**	**52,885**	**12,818**	**116,107**
აპარატის ხელფასი	13,100	13,757	12,818	39,675
მივლინება	204	2,028	-	2,232
საკონსულტაციო ხარჯი	37,100	37,100	-	74,200
ჯამი	**7,662,212**	**5,990,627**	**6,896,850**	**20,549,689**